პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 282-283 (19125) კვირა, 9 დეკემბერი, 1984 წელი. ფასი 5 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მეთვრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლის, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-12 მუხლისა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები კვირას, 1985 წლის 24 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის, 8 დეკემბერი.

წესრიგს რაზმელები იცავენ

მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების საქმე როდია. ამ ბრძოლაში სულ უფრო უნდა იზრდებოდეს შრომითი კოლექტივების როლი.

უფრო აქტიური მოქმედებისათვის მოვუწოდებთ ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს.

ე. შევარდნაძე

ყოველდღიურად თბილისისა და ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების და დასახლებული პუნქტების ქუჩებში, მაგისტრალებზე, ხალხმრავალ ადგილებში წესრიგს იცავენ წითელსამკლაურიანი ადამიანები. ესენი სახალხო რაზმელები არიან, რომლებიც 25 წელზე მეტია აქტიურად ეხმარებიან ადმინისტრაციულ ორგანოებს, გვერდში უდგანან მშრომელთა ფართო მასებს ხიშიდის და წესრიგის დაცვის საქმეში. ისინი ხშირად მილიციის მუშაკებთან ერთად მორიგეობენ ქუჩებში და მოედნებზე, იცავენ წესრიგს გადასახვლელებზე, თვალყურს ადევნებენ ტრანსპორტის მოძრაობას, აღკვეთავენ დარღვევებს და თვით დანაშაულსაც.

ჩვენს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში წესრიგის, დისციპლინის განმტკიცებისა, დანაშაულობათა და საერთოდ სამართალდარღვევათა აღკვეთის ეს უაღრესად სასარგებლო მუშაობა იმ დიდი პოლიტიკური, ორგანიზატორული და პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ხელმძღვანელობის და მზრუნველობის შედეგად გადამწყვეტ როლს ასრულებს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო წინსვლაში.

[illegible]

ჩვენს დიად სამშობლოში

სვერდლოვსკი. საწარმოო გაერთიანება „ურალმაშის" მძიმე მანქანათსაშენებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში იქმნება დაპროექტების ავტომატიზაციის სისტემა. მისი პირველი რიგი უკვე მომავალი წლიდან ამოქმედდება. დაპროექტების ავტომატიზაციის სისტემის პირველი რიგის დანერგვა საწარმოს დაახლოებით მილიონ მანეთს დაუზოგავს.

სურათზე: ავტომატიზაციის სისტემისა და დაპროექტების განყოფილების სამანქანო დარბაზში.

◆ ლენინგრადი. წარმოების ინტენსიფიკაციის გზაზე საუწყებათაშორისო დაბრკოლებათა გადალახვას ხელს უწყობს ლენინგრადში შემუშავებული საერთო მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოყენების პროგრამა, ნაჭედის, ჩამოსხმის, ... [illegible]

◆ [illegible]

საკდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

მოსკოვი. მხატვრის ცენტრალურ სახლში გაიხსნა ლატვიის სსრ დამსახურებული მხატვრის, ლატვიის სსრ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ... ნამუშევართა გამოფენა.

სურათზე: გამოფენის დარბაზებში. ... ლატვიის სსრ სახალხო არტისტი ...

უზბეკეთის სსრ. დიდია საღიკ აზიმოვის ... მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის ... უზბეკეთის მეცნიერების ისეთი დარგებით, როგორიცაა ატომური ბირთვისა და კოსმოსური ... სხეულისა და ნახევარგამტარების გარდაქმნა და სხვ.

სურათზე: ჰელიოკომპლექსის მშენებლობა ... ინსტიტუტის განყოფილების გამგე ა. ... ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ...

[illegible]



საყოველთაო საქმე

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარმოდგენილი უდიდესი ექსპოზიცია გვაცნობს მოკავშირე რესპუბლიკებში აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას

სასურსათო პროგრამის რეალიზაცია საყოველთაო-სახალხო საქმეა. ამიტომ ესოდენ დასაფასებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ შექმნილი გამოცდილება. იგი განზოგადებულია დიდ დარგთაშორის გამოფენაზე „აგროსამრეწველო კომპლექსის ... („აგრომრეწვი-84"), რომელიც 7 დეკემბერს გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

[illegible]

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

როგორ ვასრულებთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს

ფოთი

ექსპერიმენტის სიკეთე

დეკემბერი წლის დამამთავრებელი თვეა და ვინც ენერგიულად, ბეჯითად, თავდადებით იშრომა ნაყოფსაც დეკემბერშივე მოიმკის და შეაჯამებს. სასიხარულოა, რომ ფოთელმა მშრომელებმა ვადაზე ადრე უპატაკეს სამშობლოს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება. ...

— ფოთის ინდუსტრიის მშრომელებმა წლიური გეგმა სამი დეკემბრისათვის შეასრულეს, ვალდებულებანი კი შვიდი დეკემბრისათვის. ...

[illegible]

ქუთაისი

პარტნიორები მხარში უდგანან

დაიწყო საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" რეკონსტრუქციის გადამწყვეტი ეტაპი. ...

[illegible]

(საქინფორმი).

ხელის შრომა მანქანებს დავაკისროთ

8 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელზეც განიხილა პარტიული, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის გამოყენების შემცირების შესახებ. ...

[illegible]

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ... სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ... (საქინფორმი).

არჩევნები — 24 თებერვალს

რუსეთის სფსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 86-ე მუხლის, „რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" რუსეთის სფსრ კანონის მე-13 მუხლისა და „რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება იმის შესახებ, რომ რუსეთის სფსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1985 წლის 24 თებერვალს.

იმავე დღეს დაინიშნეს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ და ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა.

დაინიშნა აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნები.

შეიქმნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ დასვენების დღე ... 1984 წლის 29 დეკემბრიდან გადატანილ იქნეს ორშაბათს — 1984 წლის 31 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ქალაქი თბილისი

ლენინის რაიონი

1. **ბენდელიანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — № 1 სამუსიკო სკოლა-ინტერნატის შენობა, ინტერნატის ქუჩა № 1).

საზღვრები: კაჰრეთის ქუჩის მარცხენა მხარე პიონერის ქუჩიდან ლოტკინის ქუჩამდე, ლოტკინის ქუჩის მარცხენა მხარე კაჰრეთის ქუჩიდან კონდოლის ქუჩამდე, კონდოლის ქუჩის მარცხენა მხარე ლოტკინის ქუჩიდან პროლეტარის ქუჩის გადაკვეთით [illegible]

[illegible] ის ზემო დასახლებამდე, ბენდელიანის ზემო დასახლების მარცხენა მხარე გეგუთის ქუჩის დასაწყისის გავლით ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე ჯავის ქუჩის მე-4 შესახვევამდე, ჯავის ქუჩის მე-4 შესახვევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის მარცხენა მხარე სააკაძის ქუჩამდე, სააკაძის ქუჩის მარცხენა მხარე ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის და ტრაქტორის ქუჩების. მარცხენა მხარე ზესტაფონის ქუჩამდე, ზესტაფონის და ხოთეწლების ქუჩების მარცხენა მხარე წეწამურის ქუჩამდე ქარხანა „თბილგაზოაპარატის", სართავ-საქსოვი კომბინატის და „თბილმეტრომშენის" ტერიტორიების ჩათვლით.

[illegible]

პირველი მაისის რაიონი

22. **მარჯანიშვილის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის კულტურის სახლის შენობა, ჩოდრიშვილის ქუჩა № 8).

საზღვრები: მარჯანიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები სტალინის სახელობის ხიდიდან კლარა ცეტკინის ქუჩამდე, კლარა ცეტკინის ქუჩის № 92-დან № 150-ის ჩათვლით, პლეხანოვის გამზირი № 159 და № 146-ის ჩათვლით, კამოს ქუჩა № 117-ა და № 84-ზე გამავალი ხაზი მარცხენა სანაპირო ქუჩამდე, სანაპირო ქუჩა საწყის წერტილამდე.

[illegible]

ოქტომბრის რაიონი

[illegible]

კალინინის რაიონი

[illegible]

(გაგრძელება მე-3 გვ.)

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

(გაგრძელება)

...საბჭოს წყვილი ნომრები მთლიანად, ნაიღვრის ქუჩის შესახვევის კენტი ნომრები მთლიანად, ამავე ქუჩის შესახვევის კენტი ნომრები № 5-დან № 17-ის ჩათვლით, ჩიტაძის ქუჩის კენტი ნომრები № 9-დან № 11-ის ჩათვლით, ამავე ქუჩის შესახვევის № 1, № 3, მთაწმინდის შესახვევის კენტი ნომრები № 9-დან № 19-ის ჩათვლით, ამავე ქუჩის შესახვევის წყვილი ნომრები № 6-დან № 14-ის ჩათვლით, ნაიღვრის ქუჩა № 4, № 6; ჰოჩაძის ქუჩა № 24; ფუნიკულიორის ზედა პლატო მთლიანად.

43. მთაწმინდის საარჩევნო ოლქი ...

[illegible]

ორჯონიკიძის რაიონი

[illegible]

კიროვის რაიონი

[illegible]

საბურთალოს რაიონი

[illegible]

26 კომისრის რაიონი

[illegible]

73. ნავთლუღის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის შენობა, ბიღდაის ქუჩა № 12).

[illegible]

(გაგრძელება 80-ე გვ.)

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

(გაგრძელება)

საზღვრები: II ნავთლუღის, ამიერკავკასიის ტრანსმშენისა და ლიანდაგმემდუღებელი მატარებელი № 40-ის დასახლებები, კაიროს, ქიზიყისა და ქორესის ქუჩებზე განლაგებული ყველა საცხოვრებელი სახლი, მოსკოვის გამზირის მარცხენა მხარე ჭავჭავაძის ქუჩის ხიდიდან გამავალი გზიდან ქინძმარაულის მეორე შესახვევამდე.

87. **მოსკოვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სააგურე კომბინატ „განთიადის" შენობა, ქინძმარაულის ქუჩა № 6).

საზღვრები: მოსკოვის გამზირი, მარელისისა და ოცხელის ქუჩები, ქინძმარაულის ქუჩის I და II შესახვევები, სააგურე კომბინატის, სათიშველი და № 3 დასახლებები.

88. **ჰიდრომშენებელთა საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — 107-ე პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა, ჭიჭინაძის ქუჩა № 10).

საზღვრები: საქჰიდროენერგომშენისა და სადგურ ველის დასახლებები, ქინძმარაულის ქუჩის მარჯვენა მხარე, ზემო და ქვემო მეტალურგის საცხოვრებელი სახლები.

89. **დიმიტროვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბის შენობა.

საზღვრები: დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლებები.

გარდაბნის რაიონი

90. **მარტყოფის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მარტყოფი).

მარტყოფის სასოფლო საბჭო.

91. **დიდი ლილოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დაბა დიდი ლილო).

დიდი ლილოს სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ნორიოს და ახალი სამგორისა.

92. **კოჯრის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დაბა კოჯორი).

კოჯრის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ტაბახმელის და თელეთისა.

93. **ქესალოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი სოფელი ქესალო).

სასოფლო საბჭოები: ქესალოს და ულიახოვკისა.

94. **კალინინოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი კალინინო).

სასოფლო საბჭოები: კალინინოს, ფოხიჭალის და ჯანდარისა.

95. **სართიჭალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი სართიჭალა).

სასოფლო საბჭოები: სართიჭალის და ახალსოფლისა.

96. **გარდაბნის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი გარდაბანი).

გარდაბნის საქალაქო საბჭო.

97. **ალთალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ალთალი).

სასოფლო საბჭოები: ალთალის და გამარჯვებისა.

მცხეთის რაიონი

98. **მცხეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი მცხეთა).

მცხეთის საქალაქო საბჭო.

99. **დიღმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი დიღომი).

სასოფლო საბჭოები: დიღმის, ლისის, გლდანის და ცხვარიჭამიას.

100. **წეროვნის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი წეროვანი).

სასოფლო საბჭოები: წეროვნის, გალავნის, ძეგვის და ნიჩბისის.

101. **მისაქციელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მისაქციელი).

სასოფლო საბჭოები: მისაქციელის, წილკნის და საგურამოსი.

102. **მუხრანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მუხრანი).

სასოფლო საბჭოები: მუხრანის და ქსოვრისისა.

კასპის რაიონი

103. **კასპის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი კასპი).

კასპის საქალაქო საბჭო.

104. **ახალქალაქის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ახალქალაქი).

სასოფლო საბჭოები: ახალქალაქის, ახალციხის, კავთისხევის და წინარეხისა.

105. **ქვემო ჭალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ქვემო ჭალა).

სასოფლო საბჭოები: ქვემო ჭალის, კოდისწყაროს, მეტეხის და ქვემო გომისა.

106. **ოკამის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ოკამი).

სასოფლო საბჭოები: ოკამის, სამთავისის, ლამისყანის და ადაიანისა.

107. **ყარაღაჯის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ყარაღაჯი).

სასოფლო საბჭოები: ყარაღაჯის, ზემო ხანდაკის, დოესის და ხოვლესი.

გორის რაიონი

108. **შავშვების საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი შავშვები).

სასოფლო საბჭოები: შავშვების და ზერდულეთისა, მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზერტი და კვარხითი.

109. **მეჯვრისხევის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მეჯვრისხევი).

სასოფლო საბჭოები: ახალუბნის და მეჯვრისხევისა (სოფლების: ზერტის და კვარხითის გარდა), ტყვიავის სასოფლო საბჭოს სოფლები ფლავი და ფლავისმანი.

110. **ტყვიავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ტყვიავი).

სასოფლო საბჭოები: დიცის, მერეთის და ტირძნისისა; ტყვიავის სასოფლო საბჭოს სოფლები ტყვიავი და მარანა.

111. **კარალეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი კარალეთი).

სასოფლო საბჭოები: კარალეთის, ტინისხიდის და ძევერისა.

112. **შინდისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი შინდისი).

სასოფლო საბჭოები: ვარიანის, ნიქოზის და შინდისისა.

113. **ხიდისთავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ხიდისთავი).

სასოფლო საბჭოები: ბერბუკის, სკრის და ხიდისთავისა.

114. **ატენის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ატენი).

სასოფლო საბჭოები: ატენის, ბოშურის, მღებრიანის, საყავრის და ქვახვრელისა.

ქალაქი გორი

115. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — რკინიგზის 12-ე საშუალო სკოლის შენობა, ქასლოველის ქუჩა № 64).

საზღვრები: აღმოსავლეთით — ...

116. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — მე-3 საშუალო სკოლის შენობა, 1905 წლის რევოლუციის ქუჩა № 12).

საზღვრები: აღმოსავლეთით — ...

ქარელის რაიონი

ადიგენის რაიონი

ახალციხის რაიონი

ახალქალაქის რაიონი

ხაშურის რაიონი

ბორჯომის რაიონი

ბოგდანოვკის რაიონი

დმანისის რაიონი

ასპინძის რაიონი

წალკის რაიონი

თეთრი წყაროს რაიონი

ბოლნისის რაიონი

ქალაქი რუსთავი

მარნეულის რაიონი

ქალაქი მარნეული

ყაზბეგის რაიონი

დუშეთის რაიონი

თიანეთის რაიონი

გურჯაანის რაიონი

საგარეჯოს რაიონი

სიღნაღის რაიონი

წითელწყაროს რაიონი

ლაგოდეხის რაიონი

თელავის რაიონი

ყვარლის რაიონი

ახმეტის რაიონი

ორჯონიკიძის რაიონი

ზესტაფონის რაიონი

(გაგრძელება)

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

(გაგრძელება)

238. **კვალითის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი კვალითი).
სასოფლო საბჭოები: კვალითის, ცხრაწყაროს და კლდეეთისა.

239. **ძირულის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ძირული).
სასოფლო საბჭოები: სანახშირის, ფუთის, შროშის, ძირულის და ილემისა.

240. **ზედა საქარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ზედა საქარა).
შორაპნის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ბოსლევის, ღილიკაურის და ზედა საქარისა.

241. **ქვედა საქარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ქვედა საქარა).
სასოფლო საბჭოები: ზოვრეთის, ქვედა საქარის და ზედა საზანოსი.

ქალაქი ჭიათურა

242. **საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — კულტურის სახლის შენობა).
საზღვრები: ქალაქის ტერიტორია, მდინარე ყვირილას მარცხენა მხარე, ლენინის, სტალინის და ბატარიძის სახელობის მადნეულთა სამმართველოების ტერიტორიის ჩათვლით.

243. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — კინოთეატრ „მადნეულის" შენობა).
საზღვრები: ქალაქის ტერიტორია, მდინარე ყვირილას მარჯვენა მხარე, დიმიტროვის, ორჯონიკიძის და კალინინის სახელობის მადნეულთა სამმართველოს ტერიტორიის ჩათვლით.

244. **ნიგოზეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ნიგოზეთი).
სასოფლო საბჭოები: ნიგოზეთის და ითხვისისა.

245. **სვერის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი სვერი).
სასოფლო საბჭოები: გეზრულის, მანდაეთის, სვერის და პერევისისა.

246. **ზოდის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ზოდი).
სასოფლო საბჭოები: ზოდის, რგანის, წირქვალის, ხვაშითის და სარქველთუბნისა.

247. **კაცხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი კაცხი).
სასოფლო საბჭოები: ვაჭევის, კაცხის, ჭალოვანის და ბუღიურისა.

საჩხერის რაიონი

248. **საჩხერის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი საჩხერე).
საჩხერის საქალაქო და სარეკის სასოფლო საბჭოები.

249. **საირხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი საირხე).
სასოფლო საბჭოები: საირხის, ჩორბოეთის, ქორეთის, მერჯევის და ჩიხის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩიხა.

250. **არგვეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი არგვეთა).
სასოფლო საბჭოები: არგვეთის, ჭალისა და ჩიხის სასოფლო საბჭოს სოფელი ორღული.

251. **კორბოულის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი კორბოული).
სასოფლო საბჭოები: კორბოულის, ჰელოვანის, ჭალაურთის და გორისისა.

თერჯოლის რაიონი

252. **თერჯოლის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი თერჯოლა).
თერჯოლის საქალაქო საბჭო, სასოფლო საბჭოები: ზარდიაზნის, ოქთომბერის და ლეანკვეთისა.

253. **ჩხარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ჩხარი).
სასოფლო საბჭოები: ახალი თერჯოლის, გოგნის, ეწერის, სიმონეთის, ჩხარის და ძევრისა.

254. **საზანოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი საზანო).
სასოფლო საბჭოები: ალისუბნის, თუზის, საზანოს და რუფოთისა.

255. **ჰოგნარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ჰოგნარი).
სასოფლო საბჭოები: ჰოგნარის, ქვაჰირის, გოდოგნის, ნახშირღელის და ქვედა სიმონეთისა.

ქალაქი ქუთაისი ავტოქარხნის რაიონი

256. **ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ავტოქარხნის კულტურის სახლის შენობა).
საზღვრები: ავტომშენებელთა ქუჩის ორივე მხარე ტოლბუხინის ქუჩიდან ბოლომდე და პირველი შესახვევი ლუწი ნომრები რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე, რუსთაველის ქუჩის კენტი ნომრები ავტომშენებელთა ქუჩის პირველი შესახვევიდან ბოლომდე და ლუწი ნომრები ტოლბუხინის ქუჩიდან ბოლომდე, ტოლბუხინის ქუჩის კენტი ნომრები რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე და ლუწი ნომრები მთლიანად, პირველი და მესამე შესახვევები მთლიანად, ჩერნიშევსკის ქუჩის ლუწი ნომრები მთლიანად და კენტი ნომრები დასაწყისიდან ავტომშენებელთა ქუჩის პირველ შესახვევამდე, მეორე ჩიხი, მეორე და მეოთხე შესახვევები მთლიანად, ბუკიას ქუჩის ლუწი ნომრები რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე, ბელინსკის, ვოლგოგრადის, ხმელნიცკის, კარის, მშვიდობის, ჩკალოვის, კიევის, სვერდლოვის, სუვოროვის, პლანჩიკაძის და ტოლსტოის ქუჩები შესახვევებითა და ჩიხებით მთლიანად.

257. **ავტოქარხნის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — 32-ე საშუალო სკოლის შენობა).
საზღვრები: ავტომშენებელთა ქუჩის ლუწი ნომრები დასაწყისიდან ტოლბუხინის ქუჩამდე და კენტი ნომრები დასაწყისიდან პირველ შესახვევამდე, პირველი შესახვევის კენტი ნომრები მთლიანად და ლუწი ნომრები დასაწყისიდან რუსთაველის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩის ლუწი ნომრები დასაწყისიდან ტოლბუხინის ქუჩამდე და კენტი ნომრები დასაწყისიდან ავტომშენებელთა ქუჩის პირველ შესახვევამდე, ტოლბუხინის ქუჩის კენტი ნომრები დასაწყისიდან რუსთაველის ქუჩამდე, ბუკიას ქუჩის კენტი ნომრები დასაწყისიდან № 13-მდე და ლუწი ნომრები რუსთაველის ქუჩიდან ჩერნიშევსკის ქუჩამდე, ფურცელაძის, საყვარის, ლუქსემბურგის, მაჩაბლის, ბუ-

...

319. **მარნის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი მარანი).
სასოფლო საბჭოები: მარნის, კვითილოურის, პირველი მაისის, ქოლობნის და ნაესაკაოსი.

320. **ძველი აბაშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ძველი აბაშა).

...

342. **ჭვარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქალაქი ჭვარი).
ჭვარის საქალაქო და ლიის სასოფლო საბჭოები.

343. **ჯგალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფელი ჯგალი).

(დასასრული მე-6 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

(დასასრული)

სასოფლო საბჭოები: ფახულანის, ჰალის და მუჟავის.

ჩხოროწყუს რაიონი

344. ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩხოროწყუ).

ჩხოროწყუს სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ...

ის ქუჩამდე, პირტახის ქუჩის ლუწი ნომრები ნინოშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, ნინოშვილის ქუჩის კენტი ნომრები პირტახის ქუჩიდან სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმომდე.

აფხაზეთის ასსრ

ქალაქი სოხუმი

358. გორკის საარჩევნო ოლქი ...

ქცევის გზატკეცილამდე; დასავლეთით — ახალქცევის გზატკეცილის ლუწი ნომრები მშვიდობის გამზირიდან ზღვის სანაპირომდე; სამხრეთით — ზღვის სანაპირო ახალქცევის გზატკეცილიდან თარხნიშვილის ქუჩამდე.

365. ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოხუმის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის შენობა) ...

377. ლიხნის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ლიხნი).

სასოფლო საბჭოები: ზვანდრიფშის, ჯირხვის, ხოფის და ლიხნის.

378. გუდაუთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გუდაუთა).

გუდაუთის საქალაქო საბჭო.

379. აჰაწდარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი აჰაწდარა).

საზღვრები: ქალაქ ბათუმის ჩრდილოეთი ნაწილი კომკავშირის, ბარათაშვილის, ტელმანის, ლენინის და ჭავჭავაძის ქუჩებს შორის, გორკის ქუჩის №№ 1, 2 სახლების ჩათვლით.

402. ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს შენობა, ლენინის ქუჩა № 13).

საზღვრები: ქალაქ ბათუმის ...

ურების სასოფლო საბჭო და კახაბრის სასოფლო საბჭოს სოფლები: ანგისა და მინდა.

421. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხელვაჩაური).

ხელვაჩაურის სადაბო საბჭოს ცენტრის დასახლება და სოფლები: შავლიძეები, შარაბიძეები, ზანაქიძეები, მახვილაური, კახაბრის სასოფლო საბჭოს სოფლები ...

376. ხარმიშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ხარმიში).

სასოფლო საბჭოები: აჟარაკის, კალდახვარის, ბლაბურხვის, ხარმიშის, ოთხარის, მუგუძირხვის და ახალსოფლის.

აჭარის ასსრ

ქალაქი ბათუმი

401. გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის შენობა, ლენინის ქუჩა № 37).

(ცენტრი — სოფელი ურეხი).

ზაზორის, სალიბაურის და ბოლოსა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 8 დეკემბერი.

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ალექსიძე

საბჭოთა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 74 წლისა გარდაიცვალა დიმიტრი ალექსანდრეს ძე ალექსიძე — თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი.

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, თვითმყოფადი ხელოვანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის განვითარებაში.

დ. ა. ალექსიძე დაიბადა 1910 წელს. შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო 1934 წლიდან ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ.

თავისი მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე დ. ა. ალექსიძემ დადგა ბევრი სპექტაკლი თანამედროვე და კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებთა მიხედვით, რომლებმაც მაყურებელთა ფართო აღიარება მოიპოვეს, ისინი ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განვითარებაში.

ხალხურობისა და კომუნისტური პარტიულობის სულისკვეთებით გამსჭვალული ამ შესანიშნავი ოსტატის სპექტაკლები გამოირჩეოდა რეჟისორული გადაწყვეტის სიღრმითა და ორიგინალობით, მკაფიო სცენური ფორმით.

დ. ა. ალექსიძე შემოქმედებითს ... ქართული თეატრალური ... და სამეცნიერო მუშაობას, აღზარდა მსახიობთა და რეჟისორთა არაერთი თაობა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა თეატრის თეორიასა და ისტორიაში.

ბევრ ძალასა და ენერგიას ახმარდა დ. ა. ალექსიძე საზოგადოებრივ მუშაობას, არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი.

დ. ა. ალექსიძის შემოქმედებითმა და საზოგადო მოღვაწეობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით. მინიჭებული ჰქონდა ტ. გ. შევჩენკოსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო პრემიები.

პატრიოტი ხელოვანი, დიდბუნებოვანი და მომხიბვლელი ადამიანი დ. ა. ალექსიძე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

პ. ნ. დემიჩევი, ე. ა. შევარდნაძე, მ. მ. ზიმიანინი, ვ. თ. შაურო, თ. ნ. მენთეშაშვილი, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ვ. ი. ანჯაფარიძე, ი. ი. ბარაბაში, თ. გ. ბადურაშვილი, გ. ა. ბოროვიკი, ა. ა. გონჩაროვი, ნ. შ. ჯანბერიძე, ე. მ. ზაიცევი, ო. ი. კუსენკო, გ. დ. ლორთქიფანიძე, ი. ა. ოლეინენკო, მ. ვ. პაშკოვი, ე. რ. სიმონოვი, რ. რ. სტურუა, გ. ა. ტოვსტონოგოვი; ზ. პ. ტუმანოვა, მ. ი. თუმანიშვილი, ნ. მ. უჟვი, მ. ი. ცარიოვი, თ. ნ. ჩხეიძე.

სამშობლოს ჯილდო გადაეცა

კრასნოიარსკი. 7 დეკემბერი. (ხაჟდები). რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, ციმბირის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებასა და საწარმოო ძალების განვითარებაში მათი წვლილისათვის კრასნოიარსკის მხარე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა.

დღეს აქ გაიმართა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც სახატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. რიჟკოვი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. შეკრებილთა ტაშის გრიალში მან ჯილდო მიაბნია კრასნოიარსკის მხარის დროშას.

ჭადრაკი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე ხელბურთელ ვაჟთა მეთერთმეტე საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაიმართა მეორე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: სსრ კავშირი (ახალგაზრდული)-რუმინეთი — 23:31, საქართველო-პოლონეთი — 22:23.

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

9 დეკემბერი

10.35 — მულტიპლიკაციური ფილმები „მატრიოშკები" და „ბებიას ბეკეკა". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — საკვირაო გამოცემა. 11.50 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში". 12.00 — ...

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — რიტმული ტანვარჯიში.

თეატრი

9 დეკემბერი

თბილისი

9 დეკემბერი